



საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health



KA030632079186018

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax: (995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/2332

24 / მაისი / 2018 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროს  
ადამიანური რესურსების მართვისა და  
საერთაშორისო ურთიერთობების  
დეპარტამენტის უფროსს, პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს  
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

თქვენი მიმდინარე წლის 17 მაისის წერილის (N01/2931), რომელიც ეხება საყდრისი-ყაჩალიანის საბადოსთან არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას, პასუხად მოგახსენებთ, რომ სსიპ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) კომპეტენციის ფარგლებში არაერთხელ იქნა განხილული ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი.

„ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ადგილობრივი რისკ-ფაქტორების განსაზღვრისა და შეფასების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის № 1973 განკარგულების (პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“) შესაბამისად, წინასწარ შეიმუშავებული პროგრამის ფარგლებში 2015 წლის 19 – 20 სექტემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ვარდისუბანსა და დიდ დმანისში და 26-27 სექტემბერს - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაბრეთსა და ბალიჭში უზრუნველყო სამედიცინო - პროფილაქტიკური გასინჯვების ორგანიზება და ჩატარება.

სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვები განხორციელდა ექიმთა მრავალპროფილური ჯგუფის მიერ (ოჯახის ექიმი, თერაპევტი, პედიატრი, ქირურგი, ოფტალმოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი, ენდოკრინოლოგი, ექიმი ექოსკოპისტი), საქველმოქმედო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ძალებით. აქციაში აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივი ოჯახის ექიმი და ორგანიზაციულ სამუშაოებს აწარმოებდა დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის პერსონალი, პროცესში ასევე ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობა. აქციის დროს სამედიცინო ჩვენების მიხედვით ტარდებოდა როგორც ლაბორატორიული კვლევები (სისხლში ჰემოგლობინის, პროთრომბინის, გლუკოზის განსაზღვრით), ასევე, გადაუდებელი საჭიროების მედიკამენტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში (მედიკამენტები მოწოდებულ იქნა ფარმაცევტულ კომპანია PSP-ს მიერ);

პარალელურად მოსახლეობას ეძლეოდა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობისა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილების შესახებ.

სერთო ჯამში, 19-20 სექტემბერს სოფელ ვარდისუბანსა და დიდ დმანისში (დიდი დმანისის სოფლის ექიმის ოფისის ბაზაზე) სამედიცინო დახმარება გაენია 153 მაცხოვრებელს, ხოლო ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაბრეთსა და სოფელ ბალიჭში იმავე რეჟიმში, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით გასინჯულ იქნა 198 მოსახლე, სულ - 351 პირი, თუმცა სრულყოფილი მონაცემი წინასწარ განსაზღვრული ცვლადების მიხედვით ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ კვლევაში ჩართულ 254 მოსახლეზე.

მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვების მონაცემები დამუშავდა სპეციალური პროგრამის (EPI-info)

გამოყენებით.

გამოკვლევულთა შორის იყვნენ ბავშვები, მოზარდები და მოზრდილი მოსახლეობა. გასინჯულთა 50%-ზე მეტი 20-დან 60 წლის ასაკის იყო. დიდი უმრავლესობა - მდედრობითი სქესის (80, 3%) და დაბა კაზრეთის მაცხოვრებელი (61,8%) იყო.

დიაგნოზების მიხედვით ყველა პათოლოგიურ მდგომარეობაზე მეტად გავრცელებული აღმოჩნდა არტერიული ჰიპერტენზია (22.4%), მას მოსდევს ერთეული შემთხვევებით ქვემო წელის ტკივილი (ლუმბალგია - 4.3%), პოპოთირეოზი (3.9%) და შაქრიანი დიაბეტი (3,5%). არტერიული ჰიპერტენზია, ძირითადად, 40 წლის ზემოთ მოსახლეობაში, ძირითადად, ქალებში. არტერიული ჰიპერტენზიის შემთხვევები ხშირი აღმოჩნდა დაბა კაზრეთის (61%), დაბა დმანისისა (23%) და სოფ. ბალიჭის (16%) მოსახლეობაში.

აქვე დამატებით მოგახსენებთ, რომ იმავე წელს ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ კომპანია RMG გოლდის წარმომადგენლებს, სადაც განხილულ იქნა შესაძლებლობა ჩაღრმავებული კვლევების ჩატარების შემთხვევაში კომპანიის მიერ თანადაფინანსების შესაძლებლობაზე, პარალელურ რეჟიმში ცენტრის ეპიდემიოლოგებმა კონსულტაცია გაიარეს აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ექსპერტებთან, რომელთაც დიდი გამოცდილება გააჩნიათ ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასების კვლევების განხორციელების კუთხით, რომელთა მოსაზრებითაც, წარმოდგენილი პოპულაციის სიმცირიდან გამომდინარე კორელაციური კავშირების დადგენა და მყარი მტკიცებულებების მიღება კვლევისგან თითქმის შეუძლებელია და მათი მხრიდან რეკომენდაცია იქნა მოცემული, რომ აქცენტი გაკეთებულიყო პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და მონახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტატუსის შესწავლაზე, რაც განხორცილდა ზემოთ დასახელებული ოთხი სოფლის მოსახლეობაში აღნიშნული აქციის ფარგლებში. შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად რეკომენდაციები მიეცა შესაბამისი მუნიციპალიტეტების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებსა და პირველადი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებს.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, ცენტრში ხორციელდება საქართველოს მოსახლეობის ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, რომლის მონაცემების ანალიზი სისტემატურად წარმოებს და შედეგები მიეწოდება არამხოლოდ სამედიცინო მომსახურების სერვისების მიმწოდებლებს, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში ჩართულ სხვადასხვა სააგენტოებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე - [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge), მათ შორის საჯარო ინფორმაციის სახითაც.

წერილს თან ვურთავთ მიმართვაში აღნიშნული დაავადებებითა და სხვა პათოლოგიური მდგომარეობებით ორივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ავადობის ბოლო წლების მასალას. ასევე, კიბოს ნაციონალური რეგისტრის სამი წლის მინაცემებს რეგისტრის ამოქმედების პირველი წლიდან (2015) დღემდე განვლილ საანალიზო პერიოდში.

პატივისცემით,

სამმართველოს უფროსი



ლალი ებანიძე